საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრი 2014

(დასკვნითი რაუნდი)

მოკლე ინფორმაცია:

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრი (შემდგომში *შეჯიბრი*) არის ჰუმანიტარული სამართლის სამ დღიანი ღონისძიება, რომელიც გამიზნულია სტუდენტებისათვს (სამართლის მიმართულების როგორც ბაკალავრიატის ასევე მაგისტრატურის სტუდენტები და სამხედრო სასწავლებლის კურსანტები). შეჯიბრი მიზნად ისახავს „სამართლის წიგნებიდან ამოღებას“ სხვადასხვა სიმულაციებისა თუ როლური თამაშების გზით, რომლის დროსაც ჟიური აფასებს მონაწილე გუნდების თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში.

სიტუაციები შეეხება შეიარაღებული კონფლიქტის გამოგონილ, მაგრამ რეალისტურ სცენარებს. მონაწილეებს და ჟიურის აქვთ განსაზღვრული როლი, რომელიც იცვლება ყველა ტესტის დროს - მაგ. გუნდი შეიძლება იყოს წითელი ჯვრის დელეგატი დილის ტესტზე, ხოლო ორგანიზებული შეიარაღებული დაჯგუფება საღამოს ტესტზე. აღნიშნული სტილი მონაწილეებს აძლევს საშუალებას რომ სიტუაცია განიხილონ ყველა მოდავე მხარის პოზიციებიდან.

ორდღიანი ინტენსიური ტესტების შემდეგ გამოვლინდება ორი ფინალისტი გუნდი, რომელიც შეჯიბრის დასკვნით დღეს მონაწილეობას მიიღებს ფინალურ ტესტში, რომლის შედეგადაც გამოვლინებდა შეჯიბრის გამარჯვებული. ამავე დღეს გაიცემა პრიზი საუკეთესო სპიკერის კატეგორიაშიც.

ვის და როგორ შეუძლია მონაწილეობის მიღება?

იმისათვის რომ დარეგისტრირდეს, გუნდი უნდა შედგებოდეს ერთი და იმავე უნივერსიტეტის სტუდენტი სამი წევრისაგან, რომელთაგან არც-ერთს არ უნდა ჰქონდეს მანამდე მონაწილეობა მიღებული შეჯიბრში.

მონაწილეობის მსურველმა გუნდებმა სრული სააპლიკაციო პაკეტი უნდა გააგზავნონ შემდეგ მაილზე: ngvaramadze@icrc.org და nino.gvaramadze54@gmail.com. დიდი ოდენობის აპლიკაციების შემთხვევაში შეჯიბრში მონაწილეობისათვის შეირჩევა საუკეთესო გუნდები.

როგორ მოვემზადოთ შეჯიბრისთვის?

შეჯიბრის წინა პერიოდში და უშუალოდ შეჯიბრის დროსაც თითოეულ გუნდს ეყოლება საკუთარი ტუტორი, რომელიც დაეხმარება მათ როლური თამაშის კარგად წარმართვაში. შერჩეულ გუნდებს ასევე ჩაუტარდებათ ლექციები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და მომიჯნავე დარგებში. მათ ასევე დაეგზავნებათ მოსამზადებელი მასალებიც.

რამდენია მონაწილეობის გადასახადი?

შეჯიბრში მონაწილეობა აბსოლუტურად უფასოა. ყველა ხარჯს რაც დაკავშირებულია მონაწილეთა ტრანსპორტირებასთან, განთავსებასა და კვებასთან გაიღებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი. პოტენციური აპლიკანტები ასევე არ იხდიან არანაირ რეგისტრაციის გადასახადს სააპლიკაციო პაკეტის გაგზავნისას.

როგორ მოვიძიოთ დამატებითი ინფორმაცია შეჯიბრის შესახებ?

შეჯიბრის შესახებ საქართველოს ყველა ძირითად უნივერსიტეტში გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა 2014 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში. გარდა ამისა, ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელს, ქალბატონ ნინო გვარამაძეს (ngvaramadze@icrc.org და nino.gvaramadze54@gmail.com)